ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობის ბანკისგან სესხის აღების საკითხის განხილვა საქართველოს დამფუძნებელ კრებაში *

ირაკლი იაკობაშვილი**

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია ახლადმიკვლეული ცნობები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის და ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობის ბანკს შორის საქართველოსთვის მილიონ ნახევარ გირვანქა სტერლინგის ოდენობის სესხის მიცემის შესახებ და ამ საკითხის განხილვა დამფუძნებელ კრებაში.

1960 წელს, პარიზში გამოიცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა – მრეწველობის მინისტრის, ბ. კონსტანტინე კანდელაკის ნაშრომი "საქართველოს ეროვნული მეურნეობა" (წიგნი მეორე)"[1]. ეს ნაშრომი, - ფრიად მნიშვნელოვანი, თუმც დაუსრულებელი კვლევა, - გამოიცა ავტორის გარდაცვალების შემდეგ[2], საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-

---

* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის „საქართველოს დამფუძნებელი კრება: ქართული პარლამენტარიზმის გამოცდილება" ფარგლებში. გრანტის კოდი: FR – 18 – 20157

** PhD, საქართველოს პარლამენტის არქივის გამგე

[1] იხ. *კონსტანტინე კანდელაკი.* საქართველოს ეროვნული მეურნეობა. წიგნი II, (დამოუკიდებელი საქართველო: მისი სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა") "სსრკ შემსწავლელი ინსტიტუტი", პარიზი, 1960 წ.

[2] კონსტანტინე კანდელაკი გარდაიცვალა 1958 წლის 11 ნოემბერს ქ. ლოზანაში (შვეიცარია); განისვენებს დაბა ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

ერთ ლიდერის, 1919-21 წლებში საქართველოს იუსტიციის მინისტრის, ბ. რაჟდენ არსენიძის რედაქციით[3].

ბ. კონსტანტინე კანდელაკს თავის ამ ნაშრომში ერთგან, საკმაოდ ვრცლად აქვს მოთხრობილი თავგადასავალი ხელშეკრულების დადებისა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობის ბანკს ("British Bank for Foreign Trade, ltd") შორის საქართველოსთვის 1.500.000 (მილიონ ნახევარ) გირვანქა სტერლინგის ოდენობის სესხის მიცემის შესახებ.[4]

ბ. კანდელაკის მიხედვით,

> "*სესხის რაოდენობა უდრიდა 1.500.000 (მილიონნახევარ) გირვანქა სტერლინგს. იგი მოკლევადიანი იყო (5 წლის) და თანხა მიღებული იქნებოდა არა ჩვეულებრივი ობლიგაციების სახით, არამედ ნაღდათ.*
>
> *სესხის ხარჯი იყო: ა) წლიური სარგებელი მიღებულ თანხაზე განსაზღვრული იყო ინგლისის (სახელმწიფო) ბანკის ზომაზე 2 % -ით უმაღლესი, და ბ) 4 % ერთდროულათ საკომისიო საბანკო ჯგუფს (§ 1)". (...)*

თუ რამდენათ მნიშვნელოვანი იქნებოდა ამ სესხის მიღება, ეს ყოველივე ჩანს კონსტ. კანდელაკის მიერ მოყვანილ გაანგარიშებიდან:

> *"1.5000.000 (ერთ ნახევარი მილიონი) ფუნტი სტერლინგი ჩვენი ფულით (1920 წ. დეკემბრის კურსით 1 გირვ. სტ.– 18.000*

---

[3] კონსტანტინე კანდელაკის წიგნის "ბოლო სიტყვაში" ბ. არსენიძე წერს, რომ "*ტექნიკური, ფინანსიური და სხვა მოსაზრების გამო*[3]" კონსტანტინე კანდელაკის ეს ნაშრომი შემოკლებით გამოიცა. ამასთან, ბ. არსენიძე იქვე თითებს, რომ "*ხელნაწერი მთლიანად ინახება და თუ ოდესმე მეორე გამოცემა მოხერხდა, უფრო უკეთეს პირობებში, ავტორის სრული ტექსტის სავსებით დაბეჭდვა შესაძლებელი იქნება"(იქვე)*; მე მივიღე ბ. არსენიძის ეს გამოწვევა, მოვიძიე კონსტ. კანდელაკის ზემოთ ნახსენები, "მთლიანი" ხელნაწერი და გავამზადე ის გამოსაცემად. იმედია, ამ ბრწყინვალე ნაშრომის მეორე, სრული გამოცემა 2021 წელს შესდგება.

[4] *კონსტ. კანდელაკი.* საქართველოს ... გვ. 189.

მან.) შეადგენდა 27.000.000.000 (ოცდა შვიდ მილიარდ) მანეთს, ე. ი. იმით შეიძლებოდა, არსებული კურსით, გამოსყიდვა საქართველოს პასუხისმგებლობით და მის მიერ გამოშვებულ ქაღალდის ფულის მთელი რაოდენობის (რაც 1921 წლის იანვარში ნებადართულ ემისიის მითვლით, სულ 18 მილარდ 940 მილიონ მანეთს არ აღემატებოდა) და კიდევ სავსებით დაფარვა ერთი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის (რომელიც 1920-1921 წლებისთვის აღწევდა უდიდეს თანხას 8 მილიარდ 552 მილიონ მანეთს). (...)

ნამდვილი გეგმა ამ სესხის გამოყენების კი თვით ხელშეკრულებაში იყო ნაგულისხმევი: ა) ერთი მილიონი გირვანქა სტერლინგი მოხმარდებოდა უცხოეთიდან შემოტანას სანოვაგის და სხვა გვარ მასალის და ტეხნიკურ საშვალებების უცხოეთში ძებნას; ამნაირათ, ეს თანხა გაანთავისუფლებდა ჩვენს ბიუჯეტში შეტანილ თანაბარ ხარჯებს მომარაგების, რკინის გზების, მიწათმოქმედების, პორტების და სხვა მაგვარ უწყებებისას. ეს უკვე უდიდეს შეღავათს მოუტანდა ჩვენ სახელმწიფო ბიუჯეტს რამდენიმე წლის განმავლობაში; ბ) დანარჩენი 500 ათასი გირვ. სტ. მოხმარდებოდა სხვა საჭიროებას და უმთავრესად ფულის ტრიალის მოწესრიგებას, რასაც ბიუჯეტის დეფიციტების გარდა ძალიან აბრკოლებს დაზორგანიზაცია უცხო ვალიუტის ბაზრის, სადაც დევიზების გაძვირებას ხელს უწყობდა არა მარტო უკანონო სპეკულაცია კერძო პირების, არამედ ხშირათ თვით მთავრობის დაწესებულებათა მიერ ძებნა უცხო ვალიუტისა თავის უწყების საჭიროებისთვის.

ორივე ეს ზომა აუცილებლად ძალიან შეუწყობდა ხელს როგორც ხარჯთაღრიცხვის სტაბილიზაციას და ეს უმთავრესი ზომაა საკუთარ ფულის სისტემის შესაქმნელათ - ისე ფულის კურსის გაუმჯობესებას და განმტკიცებას მომავალში. ეს პირველი და უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იყო სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვის და ანგარიშების დეფიციტის არა ქაღალდის ფულის ემისიით დაფარვისთვის".

კონსტ. კანდელაკის მიხედვით, "*ეს* [ხელშეკრულება] *პირველი საფუძვლიანი ცდა იყო დამოუკიდებელ საქართველოს მიერ ამ მიმართულებით გაკეთებული დასავლეთ ევროპის ქვეყნებში*".[5]

გამოცემაში, ხელშეკრულების უპირობო სარგებლიანობაზე ზემოთმოყვანილ ვრცელ, დასაბუთებულ მსჯელობასთან ერთად ავტორი, 1960 წლის გამოცემაში, ხაზგასმით არ ეხება ამ მნიშვნელოვან ხელშეკრულების გარშემო საქართველოს დამფუძნებელ კრებაში გამართულ მსჯელობებს.

*

საქართველოს დამფუძნებელი კრების დოკუმენტების გამოსაცემად მომზადების განმავლობაში საშუალება მოგვეცა ნაწილობრივად მაინც აღგვედგინა დამფუძნებელ კრებაში ამ ხელშეკრულების განხილვის ისტორია.

საქართველოს დამფუძნებელი კრების კომიტეტების საარქივო ფონდის დოკუმენტების საგამოცემოდ მომზადებისას, აღმოჩნდა, რომ ეს ხელშეკრულება განხილული და მოწონებული ყოფილა საქართველოს დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმში და კრების დარგობრივ კომისიებში. კერძოდ: დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სხდომათა "ჟურნალების"(ანუ სხდომის ოქმების) საარქივო ფონდში მივაგენი დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმის 1921 წლის 21 იანვრის სხდომის ოფიციალურ ოქმს, რომლის მიხედვით ამ სხდომაზე ფინანსთა და ვაჭრობა – მრეწველობის მინისტრის, კონსტ. კანდელაკის მიერ წარმოდგენილი იქნა დასამტკიცებლად ხელშეკრულობა, დადებული საქართველოს მთავრობასა და ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობის ბანკს ("British Bank for Foreign Trade, ltd") შორის 1.500.000 გირვანქა სტერლინგის სესხის შესახებ[6]. სხდომის

[5] კონსტ. კანდელაკი. საქართველოს … გვ. 186.

[6] საქართველოს დამფუძნებელი კრების სტენოგრამები. (სერია: საქართველოს დემოკრატიული რედპუბლიკის დოკუმენტები). თბ. საქართველოს ეროვნული საპარლამენტო ბიბლიოთეკის გამოცემა. 2020. 8. გვ. 119.

ჟურნალში მითითებულია, რომ სხდომაზე წარდგენილი ყოფილა ხელშეკრულების ქართული თარგმანი და ფინანსთა მინისტრის, კონსტანტინე კანდელაკის განმარტებითი მოხსენება.[7]

წარმოდგენილი ხელშეკრულების და ფინანსთა მინისტრის მოხსენების შემდეგ, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს, დაუდგენია:

1. ხელშეკრულება წარედგინოს დამფუძნებელ კრებას დღევანდელ სხდომაზე - საბიუჯეტო-საფინანსო და იურიდიულ კომისიისათვის გადასაცემად წინასწარი განხილვისა და დასკვნისათვის.

2. მოეთხოვოს მთავრობას დასკვნის წარმოგზავნა[8].

საქართველოს დამფუძნებელი კრების კომისიების საბუთებში მივაგენი დამფ. კრების საბიუჯეტო–საფინანსო და იურიდიული კომისიების1921 წლის 10 თებერვლის შეერთებული სხდომის "*ჟურნალს*", სადაც დაწვრილებითაა აღწერილი დამფ. კრების შეერთებულ კომისიაზე დამსწრე, ფინანსური დარგის გავლენიან სპეციალისტთა[9] მოსაზრებები მილიონ ნახევარ ინგლისურ გირვანქა სტელინგის მომგებიან სესხად აღების ხელშეკრულების დადების შესახებ[10].

ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობის ბანკი დათანხმდა სესხი მიეცა მხოლოდ სახელმწიფო მრეწველობისათვის. სესხის თანხიდან 1.000.000 გირვანქა სტერლინგით ქართულ მხარეს უნდა შეეძინა

---

[7] საქართველოს დამფუძნებელი კრების სტენოგრამები. ტ. 8. გვ. 119. ხელშეკრულების ქართული თარგმანი და ფინანსთა მინისტრის განმარტებითი მოხსენება საარქივო საქმეში სადღეისოდ არ იძებნება.

[8] იქვე.

[9] კომისიების გაერთიანებულ სხდომას, ფინანსთა მინისტრ კონსტანტინე კანდელაკთან ერთად დაესწრნენ სახელმწიფო ბანკის გამგე იასონ ლორთქიფანიძე და ამიერკავკასიის ბანკის ყოფილი გამგე, ბატონი ედუარდ ა. ბერგი.

[10] იხ. 1921 წლის 10 თებერვლის დამფუძნებელი კრების საბიუჯეტო - საფინანსო და იურიდიული კომისიების შეერთებული სხდომის ჟურნალი იხ. ტ. 8. გვ. 260 - 261.

სხვა და სხვა მასალა იმავე ბანკის საშუალებით. დანარჩენ 500.000 გირვ. სტერლინგიდან 160.000 გირვანქით იფარებოდა სახელმწიფოს აუცილებელი საჭიროებანი; 340 ათასით კი ფულის ტრიალის გაუმჯობესებას მოხმარდებოდა.

სესხის უზრუნველსაყოფად მიჩნეული იყო ჭიათურის მარგანეცის მონოპოლიიდან შემოსული გადასახადი. კონსტ. კანდელაკის მიხედვით, საზოგადოთ პირობები სესხისა ხელსაყრელად უნდა მიეჩნიათ და ამ ხუთი წლის (1921-1926 წწ.) განმავლობაში ყოველი ღონე უნდა ყოფილიყო მიღებული ან ახალი სესხის უფრო ხელსაყრელ პირობებში მისაღებად, ან ამ ვალის გადასახდელად.

ამიერკავკასიის ბანკის ყოფილმა გამგემ ბატონმა ედუარდ ბერგმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულობა მეტად ხელსაყრელ პირობებში იყო დადებული; "*რაც შეეხება ფული ტრიალის სისტემის გაუმჯობესებაში ბანკის ჩარევას, უნდა ითქვას რომ ეს არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს, ვინაიდან ამ შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ მათი პრაქტიკით და გამოცდილებით. საერთოდ ხელშეკრულობა დღევანდელ პირობებში საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს*" აღნიშნა ბატონმა ბერგმა[11].

---

[11] კონსტ. კანდელაკის მიხედვით: "*აქ უნდა მოვიგონო ერთი პიროვნება, იმავე ბანკების წრეს რომ ეკუთვნოდა, და, კაცი მათ წრეში მეტად გავლენიანი, როგორც თავის წინანდელი თანამდებობით, ისე თავის განათლების, დიდი ფინანსიური ცოდნის და გამოცდილების გამო. ეს კაცი იყო რუსეთის სახელმწიფო ბანკის კონტორის გამგე, ჩვენ მიერ ამავე თანამდებობაზე დატოვებული (ამ დროს საქართველოს სახელმწიფო ბანკი კიდევ არ არსებობდა), ედ. - ა. ბერგი. იგი ამიერ კავკასიის და საქართველოს ფინანსიურ საქმეებში ძალიან ჩახედული იყო, რადგან იმყოფებოდა სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორის გამგის თანამდებობაზე ჯერ "ოზაკომის" დროს, შემდეგ ამიერ - კავკასიის კომისარიატის და სეიმის და ბოლოს საქართველოს დამოუკიდებლობის დროსაც. (...) არა ფორმალურად, არამედ მთელი თავისი შეგნებით იგი საქართველოს ხელისუფლების მხარეზე დადგა ამ საკითხში (საერთოდ დიდათ ლოიალური პიროვნება იყო დამოუკიდებელ საქართველოს მიმართ). (...) ედ. ბერგი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობასთან ერთად გაიხიზნა ევროპაში და იქ (ბერლინში) გარდაიცვალა, ემიგრაციაში ყოფნის რამდენიმე წლის შემდეგ*"..

გაერთიანებულ კომისიათა სხდომამ საბოლოოდ ოფიციალურად დაადგინა: „*ხელშეკრულობა მიღებულ იქნეს*“.

ჩვენი ქვეყნისთვის ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის საქართველოს დამფუძნებელი კრების პლენარულ სხდომაზე განხილვა - როგორც შემორჩენილ დოკუმენტებიდან სჩანს - ვერ მოესწრო;

*

საქართველოსთვის ურთულეს 1920 - 1921 წლებში ინგლისის კომერციულ ბანკთან ამ ხელშეკრულების დადების საგულისხმო ფაქტი საქართველოს ისტორიის თუ ეკონომიკის ისტორიკოსთაგან მივიწყებული იქნა; კონსტანტინე კანდელაკის მიერ ამ ხელშეკრულების დადებიდან 40 წლის შემდეგ, 1960 წელს, დევნილობაში გამოქვეყნებული ზემოხსენებული ნაშრომი როგორც სჩანს, სამწუხაროდ ერთად - ერთია, რომელიც იხსენიებს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ხელისუფლების წარმატებულ საგარეო - ეკონომიურ საქმიანობის ამ ერთ-ერთ მაგალითს.

მივიწყებულ იქნა კონსტ. კანდელაკის მიერ **არჩეული მეთოდი კვლევისა** - დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების მიერ 1918-1921 წლებში წარმოებული საგარეო - ეკონომიური პოლიტიკის საქმიანობის განხილვა XX საუკუნის 10-20 იან წლების განმავლობაში არა მარტო საქართველოს, არა მარტო კავკასიის რეგიონის ქვეყნების, არამედ უფრო ზოგადად ევროპულ ქვეყნების მიერ წარმოებულ ეკონომიურ პოლიტიკის განვითარებასთან შედარებით, მათ ეკონომიკური საქმიანობის განვითარების ფონზე[12]. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ყველა ფაქტი (მათ შორის ზემოხსენებული სესხიდ დადების მაგალითიც) მკვლევარს სწორედ ამ ზოგადი კუთხით აქვს განხილული.

[12] მადლობელი დავრჩები, თუკი ვინმე მიმითითებს ცნობებს 1960 წლის შემდეგ სამეცნიერო გამოცემებში ნახსენებ მსჯელობას (თუნდაც ცნობას), 1921 წელს საქართველოს ხელისუფლების მიერ ინგლისის კერძო კომერც. ბანკიდან სესხად £ 1.500.000 ის აღების ისტორიის (ან თუნდაც მოკლე ცნობის) შესახებ.

კონსტ. კანდელაკის კვლევაში დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიური ისტორია დანახული და შეფასებულია არა განცალკევებულად, არა როგორც ერთი, ცალკე სახელმწიფოს ეკონომიური ისტორია, - თავის აღმა - თუ დაღმასვლებით თუ "მშრალი" ფაქტების თანმიმდევრობა, გამოსახული ნეიტრალურ, არაფრისმთქმელ თეთრ ფონზე; დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიური ისტორია მან წარმოსახა რუსეთის იმპერიის დაშლის შედეგად კავკასიაში წარმოქმნილ ახალი ქვეყნების - სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთის; აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების:= - ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, პოლონეთის, ფინეთის; თვით ბოლშევიკურ რუსეთის, ისევე როგორც ევროპაში ახლად შექმნილ რესპუბლიკათა - ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, ავსტრიის, თუ ევროპის დიდად განვითარებულ ქვეყნებში: გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში ეკონომიკის განვითარების ისტორიის გვერდით, ამ ქვეყნების ეკონომიურ განვითარების ისტორიებთან ერთად, დროის იმავე მონაკვეთში.

ამგვარად წარმოებულმა მაღალპროფესიულმა კვლევამ ავტორს ფუძემდებლური დასკვნების გამოტანის საშუალება მისცა:

> *"საქართველო ადრე წაიქცა, მაგრამ წაიქცა არა ამ* [ეკონომიკურ] *დაბრკოლებათა გამო, - როგორც მას უწინასწარმეტყველებდენ, - არამედ ისევ და ისევ იმავე მიზეზით, როგორც წაიქცენ, უფრო გვიან, ევროპის შუაგულში მდებარე პატარა ავსტრია* [ფაშისტურ გერმანიის მიერ დაბყრობით] *და რუსეთის იმპერიიდან გამოსული ბალტიის პატარა სახელმწიფოები* [ბოლშევიკურ რუსეთის მიერ დაბყრობით], - *საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ კიდევ 20 წელიწადი რომ იარსებეს ბედნიერათ და კმაყოფილნი რომ იყვენ თავისი მდგომარეობით. (...)*
>
> *ამ ფაქტზე ხმა მაღლა და სინდისიერათ შეუძლია მიუთითოს ყველამ და ყოველთვის, როცა საქართველოს ღირსებაზე და ნაკლზე არის ლაპარაკი, როცა მას სხვა პატარა ერებს ადარებენ,*

როცა მის უფლებას უმართებულოთ, მისი დასამწირებლათ შეეხებიან".

საბჭოთა ხელისუფლება, თავისი არსებობის მთელი დროის განმავლობაში ურცხვად, აგრესიულ თანმიმდევრობით ავრცელებდა მათ მიერვე შეთხზულ თეორიას, თითქოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაიქცა მის ხელისუფალთა სრული უუნარობის, უცოდინრობის, უნიჭო მმართველობის გამო. კონსტანტინე კანდელაკი, თავის ნაშრომში, სხვადასხვა ქვეყნებში გამოცემულ, მრავალრიცხოვან ობიექტურ, დოკუმენტურ, სტატისტიკურ ცნობების მოხმობით დამაჯერებლად აბათილებს საბჭოეთის იდეოლოგების ამ ყალბ დებულებას.

კონსტანტინე კანდელაკის მიერ გამოტანილი დასკვნები დღესაც, თითქმის საუკუნის გასვლის შემდეგაც არ კარგავენ თავის მნიშვნელობას. ამას ნათლად დაინახავს ამ ორიგინალურ თვალსაზრისის მიხედვით აგებულ ნაშრომს გაცნობილი ყოველი მიუკერძოებელი მკითხველი.

იმედი გვაქვს, "საქართველოს ეროვნული მეურნეობის" მეორე წიგნის სრულ ტექსტოვან გამოცემას მალე იხილავს ქართველი მკითხველი.

ლიტერატურის სია

- საქართველოს დამფუძნებელი კრების სტენოგრამები. (სერია: საქართველოს დემოკრატიული რედპუბლიკის დოკუმენტები). თბ. საქართველოს ეროვნული საპარლამენტო ბიბლიოთეკის გამოცემა. 2020. 8
- კანდელაკი კონსტანტინე. საქართველოს ეროვნული მეურნეობა. წიგნი II, (დამოუკიდებელი საქართველო: მისი სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა") "სსრკ შემსწავლელი ინსტიტუტი", პარიზი, 1960

Irakli Iakobashvili

Discussion of the Issue of Taking Credit from the Foreign Trade Bank of Britain in the Constituent Assembly of Georgia

Abstract

The article deals with the newly uncovered materials regarding the allocation of 1.5 million pound-sterlling for the government of Democratic Republic of Georgia by the Foreign Trade Bank of the Great Britain and with the related discussion taking place at the Constituent Assembly of Georgia.

Key words: Constituent Assembly of Georgia; The Great Britaiin; Democratic Republic of Georgia